№ 177

ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 177

ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 1898 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227



ეროვნული ბიბლიოთეკა



**აზნაური პავლე იოსების ძე კურცხალია** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა დედისას,

**ეკატირინე გრიგოლის ასულისას**

და სთხოვს მობრძანდენ პარასკევს, 21 აგვისტოს, სოფ. ბაბში, შორაპნის მაზრა, განსვენებულის გვამის დაკრძალვაზედ დასასწრებლად. (2—126—1)

**თავადი ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე** აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობებს გარდაცვალებასა 18 ამა აგვისტოს კოჯორში თავისის ძმის, ტფილისის გუბერნიის გლეხთა საქმეთა საკრებულოს წევრის, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის, თავადის

**იასე ნოშრევანის ძის ჭავჭავაძისას,**

სთხოვს მობრძანდნენ 21 აგვისტოს, დილის 9 საათზედ წირვაზედ იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში ვერაზედ, სადაც ეკკლესიის გალავანში დასაფლავებული იქმნება განსვენებულის გვამი.

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ყოველდღე ნაშუადღევის 5 საათზედ. (3—127—1)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" გამგეობა ამით აცხადებს, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სკოლაში თავისუფალია ადგილი ორის მასწავლებლისა. მასწავლებლობის მსურველთ უნდა მიჰმართონ თხოვნით საზოგადოების გამგეობას. (5—უ.—4)

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა**

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის სკოლაში არის სულ 45 ვაკანსია და ისიც მხოლოდ 1 მოსამზადებელ განყოფილებაში. სხვა განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

შესაძლებელია, სექტემბერში მოსწავლეების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ განთავისუფლდეს რამდენიმე ადგილი, მაშინ დაინიშნება საკონკურსო ეგზამენი და მიღებულ იქნებიან ისინი, ვინც საუკეთესოდ დაიჭერენ ეგზამენსა.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 30 დან. ამასთანავე საჭიროა შემდეგი საბუთის ქაღალდები: ნათლობის მოწმობა, ყვავილის აცრის მოწმობა, და მოწმობა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან, რომ მოსწავლის მშობელი ირიცხება ამ ბანკის დამფუძნებელ წევრთა შორის.

ხელ მეორედ ეგზამენი მოხდება 1, 2, 3 და 4 სექტემბერს. მისაღები საკონკურსო ეგზამენი 5 და 7 სექტემბერს.

10 სექტემბრიდან სკოლა გადადის ივ. ჯაიანის სახლში, ლევაშოვის ქუჩაზედ.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ალ. ალ. გარსევანიშვილი (3—6.—2)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ა. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობისა, ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

**სადამოობით:**

**გ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

**ა. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)


**მთავრობის განკარგულებანი**

ებოძათ კორნეტობა—შავების კორპუსის კამერ-პაჟს თავად ჭავჭავაძეს; კონსტანტინეს არტილერისტთა სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულს თავად თუმანიშვილს—არტილერისტთა ბრიგადის პოდპორუჩიკობა; ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულს ალექსი მესხიშვილს—გრუზინსკის გრენადერთა რაზმის პოდპორუჩიკობა.

ებოძა სამსახურის წელთა შესრულებისა გამო გუბერნსკი სეკრეტრობა—სენაკის სამაზრო სამხედრო გამგეობის საქმის-მწარმოებელს ჟღენტს.

გამწესებულ იქმნა აზნაური გიორგი მიხეილის ძე ციმაკურიძე ტფილისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელედ.

დათხოვნილ იქმნა, თავისისავე თხოვნით, ავადმყოფობისა გამო, თელავის მაზრის წინანდლის საბოქაულო ნაწილის ბოქაული ჩიჯავაძე.

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, როგორც შევიტყეთ, ტფილისში დაბრუნდება შაბათს, 22 აგვისტოს.

არქიმანდრიტი მამა კირიონის სახელ-წოდება მოხდება შაბათს, 22 აგვისტოს, სალამოს, მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის სადგომში, ხოლო იმის ეპისკოპოსად ხელ-დასხმა—მეორე დღეს, 23 აგვისტოს, წირვის წინად, სიონის ტაძარში.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით საგუბერნიო ბეითლის თანამდებობის ასასრულებლად დროებით დანიშნულ იქმნა ბეითალი ტ. გ. ბოლოტოვი.

*** საერო განათლების მინისტრმა გამოუგზავნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს დროებითი წესდება, სამინისტროს მიერ შედგენილი შესახებ იმისა, რომ სასოფლო სკოლებში სხვა საგნებთან ერთად მეურნეობაც ასწავლონ. ამ წესდების ძალით სასოფლო მეურნეობას ასწავლიან მხოლოდ იმ სკოლებში, სადაც მასწავლებლები განაცხადებენ სურვილს, ასწავლონ სხვა საგნებთან ერთად მეურნეობაც.

*** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ განზრახვა აქვთ საერო სკოლების მასწავლებელ ქალთა შვილები სახელმწიფო ხარჯზე მიიღონ ხოლმე სამინისტროს სასწავლებლებში.

*** საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს სოსტატო სემინარიებთან ორ-კლასიანი სასწავლებლები ერთკლასიანის მაგიერად. ამ სკოლების მოწაფეთ სამხედრო ბეგარის გარდახდაში ისეთივე უფლებანი ექმნებათ, როგორც სასოფლო ორ-კლასიან სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ.

*** ორშაბათს, 17 აგვისტოს, ტფილისში ჩამოვიდა კუკკერტისა და ამხანაგობის საზოგადოების რწმუნებული ნურენბერგი. ეს საზოგადოე-

# ფელეტონი

**საიდუმლო ოთახი**

(თარგმანი)

ჩვენი რაზმი ქალაქ მ—ში იყო დაბანაკებული. იმ წელიწადს მეტად ცხელი და აუტანელი ზაფხული იდგა.

უმოქმედო, უფერულმა ცხოვრებამ სრულიად დამაოსა და ძალა გამომაცალა. დღეებს დასასრული აღარა ჰქონდათ. მთელ ჩემს არსებას სიცოცხლის ნიშან წყალი გამოეცალა. შემეძლო რამდენისამე კვირით ნება ამეღო და სხვაგან წავსულიყავ, მაგრამ სად? მე თითონ არ ვიცოდი. რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ეს მარტოობა, განცალკევებული ცხოვრება კარგს არ დამაყრიდა. მაგრამ რას ვიზამდი? არა მყავდა მშობლები, რომელთაც შეეძლოთ შავ-ბნელით მოცული გული ალერსით გაეთბოთ, არც ისეთი მშობლიური კუნჭული მომეძებნებოდა, სადაც შემეძლო შემესვენა და თავისუფლად ამომესუნთქა. მხიარულმა, უაზრო ცხოვრებამ ამხანაგებისამ-კი თავი მომაბეზრა და შემაძულა.

ასეთი იყო სულიერი ვითარება ამ სტრიქონების დამწერისა, როდესაც ერთს მშვენიერ დღეს ჩემის განსვენებულის მამის ერთის ძველის მეგობრისაგან მივიღე წერილი, რომელშიაც ის მეხვეწებოდა სტუმრად მეწვიეო. „ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექმნება—მწერდა მამი ჩემის მეგობარი—როდესაც უსაყვარლესის მეგობრის შვილს ჩემს ჭერ ქვეშა ვნახავო"-ო.

გოლბორნი—მამი ჩემის მეგობარი—ერთს მიყრუებულს, მივარდნილს, მაგრამ მეტად მშვენიერ ადგილს სცხოვრობდა. იმ ამბავმა, რომ დროებით მაინც ცხოვრება უნდა გამოვიცვალო, უზომო სიხარულით აღავსო მთელი ჩემი არსება, ამიტომ უმალვე მზადება დავიწყე და აღარ გასულა ბევრი ხანი, რომ გზასაც გაუდექი.

როდესაც ეტლი ხეივანში შევიდა, თვალწინ საუცხოვო სურათი გადამეშალა.

უზარმაზარის მოედნის შუაგულში იდგა დიდი სახლი, რომელიც რამდენისამე ასის წლის გეგონებოდათ. დასახლებული იყო მხოლოდ მარჯვენა კუთხე, მარცხენა-კი, უყურადღებობისა გამო, ღვთის ანაბარად იყო დატოვებული.

გოლბორნი სიხარულით მომეგება კარებში.

— ღმერთმა გაკურთხოთ, ჩემო ახალგაზდა მეგობაროო, მეუბნებოდა აკანკალებულის ხმით მოხუცი.— მობრძანდით, მობრძანდით. ვეცდები არ მოგაწყინოთ... უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, არნოლდ, თქვენი ოთახი გაჩვენოთ, იქ შეგიძლიანთ ტანისამოსი გამოიცვალოთ... ჩვენ სამს საათზედ ვსადილობთ.

ოჰ, ამ კეთილ მოხუცს რომ სცოდნოდა რა დარდსა და ვარამს მივაყენებდი, ლოცვა-კურთხევით-კი არა წყევა-კრულვით მომეგებებოდა...

ჩემი ოთახი მშვენიერი და კოხტა რამ აღმოჩნდა.

უკვე პირი დავიბანე და ტანისამოსიც გამოვიცვალე, როდესაც გოლბრონმა კარები შემოაღო და სასადილო ოთახში მიმიწვია.

— ჩემი ქალები... არნოლდ,—წარმადგინა მოხუცმა, როდესაც სასადილო ოთახში შევედით.—იმედი მაქვა მალე დამეგობრდებით.

სტოლს შემოუსხედით და მალე მუსაიფში გავებით.

ლიზა გოლბერნი, უფროსი ქალი მამიჩემის მეგობრისა, მეტად ლამაზი და მშვენიერი რამ იყო. ამას ნათლად მოწმობდა მაღალი, თეთრი შუბლი, შავი, როგორც ყორნის ფთა, თმა და ნათელი თვალები... მხოლოდ რაღაც განსაკუთრებული, უცნაური გამომეტყველება იმის ლამაზის ტუჩებისა ოდნავ იერს უკარგავდა ამ საზოგადო სურათს და კაცზედ ცუდათ მოქმედებდა...

მარგარიტა? მე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ამგვარი ქალი. რაღაც უზენაესი გამოჰკრთოდა ყოველს იმის მოძრაობაში, ყოველს იმის სიტყვაში. ეს ქალი თქვენდა უნებურად გიზიდავდათ, გიტაცებდათ. ხშირი, ოქროს ფერი თმა საუცხოვოდ ამკობდა იმის პატარა, მაგრამ ლამაზს თავს. მარგარიტას თვალები მუდამ სიყვარულითა და ალერსით იღიმებოდნენ.

სადილის შემდეგ მარგარიტა თავის ოთახში წავიდა, ხოლო ლიზამ ფანჯარასთან დაიჭირა ადგილი და თავის მოღიმარის სახით მეც მიმიწვია.

— მოგწონთ აქაური ადგილები? მკითხა ახალგაზდა ქალმა, როდესაც ფანჯარას მიუახლოვდი,—აბა გაჰხედეთ, განა ეს პოეტური სურათი არ არის? დაუმატა და თანაც ამაყად არე-მარეს თვალი გადაავლო.

— ჭეშმარიტებასა ბრძანებთ, უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი სურათი იშვიათად შემხვედრია.

— იქნება გიკვირთ კიდეც, ჩემო საყვარელო ადოლფ, რომ საცხოვრებლად ასეთი მივარდნილი და გადაკარგული ადგილი ავირჩიეთ?—ჩაერია ლაპარაკში მოხუცი გოლბორნი.—ჩვენ სულ რამდენიმე წელიწადია რაც აქა ვცხოვრობთ. წინად არასოდეს არ გაგვიტარებია ასე

ბა კისრულობს სხვა-და-სხვა ქალაქებში ელექტრონის განათების გამართვას. გუშინ, 18 აგვისტოს ნურენბერგმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და წარუდგინა თვისი პირობები ტფილისში ელექტრონის განათების შესახებ. ამ პირობებს ქალაქის გამგეობა განიხილავს 19 აგვისტოს.

*** ქალაქის გამგეობამ დაავალა ინჟენერს ბლანშოს გამართოს ავჭალის წყლის მილისათვის ავჭალაში ახალი ტურბინები. (წყლის გამოსაყვანი მანქანები).

*** ტფილისის პოლიცმეისტერი სთხოვს ტფილისის გუბერნატორს განკარგულება მოახდინეთ, რომ ვერაზე „არტილერიის ბალკაში“ რაც სამიკიტნოები და ლუდხანებია დაკეტილ იქმნას, რადგანაც ამ ალაგას დღეცა და ღამეც დიდი უწესოებაა.

*** ამ დღეებში ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ტფილისის ცხენის რკინის გზის საზოგადოების დირექტორს და სთხოვა—ნება მიეცით ჩვენს ტეხნიკს კოჩაროვსკის გეგმა გადიღოს საზოგადოების სადგურისაო. საზოგადოების დირექტორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, რომ მაგ თხოვნის ასრულება არ შეგვიძლიან, რადგანაც შევიტყეთ, რომ ქალაქის თვით-მმართველობა ყოველთვის ატყობინებს სხვა საზოგადოებათ და კერძო კაცებს ყოველ გვარ ცნობებსა, გეგმას, ანგარიშს და თვით ხელშეკრულობასაც და ამით ჩვენს საქმეს აფუჩებსო.

*** როგორც ამბობენ საქონლის ჭირისაგან ასაცრელ სადგურის უფროსს ბეითალს ვიჟნიკევიჩს ბევრ საქონლისათვის აუცრია ჭირი და ესენი აღარ შეჰხვედრიათ. ამის გამო პეტერბურგიდგან გამოგზავნილ იქმნა ამ სადგურის დასათვალიერებლად და იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად ჰშველის აცრა საქონელს—პეტერბურგის პროფესორი ნენცკი. ამავე საქმისათვის ატენის ხეობაში წავიდა (საქონლის ასაცრელი სადგური აქ არის) ტფილისის საგუბერნიო ბეითალი ბ-ნი კრიდნერი.

*** წელს თუმცა ამიერ კავკასიაში კარგი პურის მოსავალი იყო, მაგრამ ტფილისში ფქვილი, ხორბალი და ქერი ცოტა ჩამოაქვთ. გუშინ ტფილისში ჩამოიტანეს მხოლოდ 80 ფუთი ფქვილი და ფუთი 1 მან. და 5 კაპ. გაჰყიდეს; 110 ფუთი ხორბალი, რომელიც გაიყიდა 1 მან.—1 მან. და 20 კაპ. და 1150 ფუთი ქერი, რომელიც იყიდება და 60—62 კაპ. ფუთი. სოფლელნი ამბობენ, რომ თუმცა წელს ბევრი პური მოგვივიდა, მაგრამ არა ვყიდით, რადგანაც გვეშინიან, ვაი თუ მერმის მცირე მოსავალი იყოს და შემოგვაკლდესო. ერთი ორად ფასის მიცემის მაგივრად ეხლავე ვინახავთ პურს სამერმისოდ და არა ვყიდითო.

*** ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს და სთხოვა ნება დართეთ სახლების დამფასებელს კომისიას დააფასოს ტფილისის საგუბერნიო სატუსაღოს ყველა შენობაო.

*** ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ტფილისში დედათა პროგიმნაზია იქმნას დაარსებული.

*** სართაჭალის საბოქაულოში რაღაც საქონლის ჭირი გაჩენილა. ამ ჭირის გამოსარკვევად იქ ბეითალი ბ-ნი გურევიჩი იქმნა გაგზავნილი.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა კ. პ. იანოვსკიმ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის მთავარმართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ ტფილისის ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებს ნება მიეცეთ მესამე წლიწადი დარჩნენ ხოლმე ერთსა და იმავე კლასში. როგორც უთუოდ მკითხველებს მოეხსენებათ, აქამდის მოსწავლეებს მხოლოდ ორი წლიწადი შეეძლოთ ერთს კლასში დარჩენა.

*** ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო მამულების გამგეობამ მოსთხოვა ტყის უფროსებს და საგანგებო საქმეთა მოხელეებს ცნობები იმის შესახებ თუ რა მდგომარეობაშია გზები დასახელებულ გუბერნიასა და ოლქში და რა ზომები უნდა იქმნას მიღებული მათის გაუმჯობესობისათვისაო.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, საქმე სომეხთა იმ სასწავლებლისა, რომელიც ავლაბარში დაეარსებინათ ნება-დაურთველად, გამომძიებელს გარდაეცა.

*** გაზ. „კავკასს“ სწერენ რაჭის მაზრის დაბა ონიდგან: „14 აგვისტოს ადმინისტრაციის განკარგულებით დაპატიმრებულ იქმნენ სამნი ძმანი დ., რომელნიც დიდს ზარალს აყენებდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს. ძმათა დ. ხელობათა ჰქონდათ გარდაქცეული გლეხთა მიწების მითვისება და დასაკუთრება. რომელიმე ამ ძმათაგანი მოჰხნავდა გლეხის მიწას, მაგრამ ეს უკანასკნელი იმის შიშით, რომ ღამე ძროხა, ცხენი ან ხარი არ მომიკლანო, ხმას ვერ ამოიღებდა და ვერც სასამართლოს მიჰმართავდა. ისეთი მაგალითებიც ყოფილა, რომ ძმ. დ. სხვის ცხენებით ღამე კალო გაულეწიათ. 14 აგვისტოს, ის ამბავი, რომ ძმ. დ. დააპატიმრესო, ერთს წუთს მოედო მთელს ონს და გარეშემო სოფლებს. ყველანი გახარებული იყვნენ ამით“.

*** გაზ. „Сынъ От.“ სიტყვით, ამ ახლო მომავალში შეუდგებიან დაწვრილებით სტატისტიკურის ცნობების შეკრებას კავკასიის მევენახობის მდგომარეობის შესახებ. ამასთან ერთად შეჰკრებავენ აგრეთვე ცნობებს ვაზის ყველა სენის შესახებაც.

*** ქუთაისიდგან გაზეთ „მშაკს“ სწერენ: „12 აგვისტოს, საღამოს 12 საათზედ, შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა აქ. აქაური მცხოვრები, 17 წლის ქალი, ოლგა პარუმბეგოვისა დანიშნული იყო ვიღაც ჩიმიჩკინზედ. ჩიმიჩკინი რკინის გზაზედ მსახურობდა. რამდენისამე დღის შემდეგ, ქალის უნებურად, დედ-მამამ ჩიმიჩკინს უარი შეუთვალა და ქალიშვილი ვიღაც გულისაშვილზედ დაინიშნა. იმ დღეს, რა დღესაც უბედურება მოხდა, ჩიმიჩკინი შეჰხვდა ქალს ქუჩაში და ჰკითხა: უარი რათ შემომითვალეო. ხოლო როდესაც ქალმა უთხრა, მამამ მაიძულა ასე მოვქცეულიყავიო, ჩიმიჩკინმა რევოლვერი ამოიღო და სამჯერ ესროლა. დაჭრილი ქალი ძირს დაეცა. შეშინებულმა ჩიმიჩკინმა თვითაც დაიცა რევოლვერი, მაგრამ ტყვიამ გვერდზედ გაუარა. შემდეგ შინ გაიქცა, სულ-ასულა დაიცა ტყვია და წუთი-სოფელს გამოესალმა. პარუნბეგოვის ქალი თოფურიას საავადმყოფოში გაჰგზავნეს ქუთაისში“.

*** პოლიციის მეხუთე განყოფილებაში, ნორაშენის ქუჩაზე, გუშინ აღმოუჩენიათ სახადით ავადმყოფი.

*** ტფილისის პოლიცია ამ ჟამად დაეძებს სპარსეთის ქვეშევრდომს, სომეხს მირზაევს, რომელსაც ამ თვის 15 ს, ღამე, ფანეევის მაღაზიიდგან როსტოვში მოუპარავს 28,000 მანეთის ბრილიანტის, ოქროს და ვერცხლის ნივთი და გაქცეულა.

*** ტფილისის სახელმწიფო თეატრის დირექციას გადაუდვია ფული ინჟენერ ხელიმსკის მიერ გამოგონილ „ფორსუნკის“ გასამართად თეატრში ამ უკანასკნელის ელექტრონით გასანათებლად და აგრეთვე გასათბობად.

*** სადგურ სვირიდგან იუწყებიან, რომ 17 აგვისტოს, დილის 8 საათზედ, მატარებელმა გასრისა შორაპნის მაზრის სოფელ არგვეთის მცხოვრებელი, 12 წლის ყრუ-მუნჯიო.

## მარტვილის საზაფხულო პედაგოგიური კურსები.

6 ივლისს, წირვისა და პარაკლისის შემდეგ, დაიწყო საპედაგოგიო კურსები გურია სამეგრელოს სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მასწავლებელთათვის მარტვილის მონასტერთან. პარაკლისის შემდეგ მასწავლებლები შეიკრიბნენ მარტვილის ორ-კლასიან სამაგალითო საეკკლესიო სკოლის დარბაზში. აქ მობრძანდა მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, დაარიგა მასწავლებლები, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ კურსებზე, აღუთქვა შეეწეობა, და წაბრძანდა თავისს ბინაზე. ამის შემდეგ მაყურებლებს მიჰმართა სიტყვით კურსების ინსპექტორმა ბ. თ. დ. ჟორდანიამ. მერე გაკვეთილები დაიწყო.

კურსებზე ყველა საგნების მეტოდიკას კითხულობდა ბ. თ. ჟორდანია, სლავიანურ გალობას ასწავლიდა ბ. ა. ბენაშვილი, ქართულსა—ფილიმონ ქორიძე და დიმ. ჭალაგანიძე. სამაგალითო გაკვეთილებს სალმრთო სჯულისას აძლევდა მღვდ. ი. ბობოხიძე. რუსულ ენაში—ტროფიმე ჯოხთაბერიძე, ანგარიშში—სტეფანე ძიმისტარიშვილი და ლ. ჩიმაკაძე. მეფუტკრეობას ასწავლიდა ... მატარაძე, ხოლო მეაბრეშუმეობა იოსებ ქუთათელაძე.

კურსებს დაესწრო 84 კაცი, მათგან 29 ოზურგეთის მაზრიდგან, 29 ზუგდიდის მაზრიდგან და 26 სენაკის მაზრიდგან.

პირველი გაკვეთილი ყოველ დღე სამაგალითო იყო, მე 2—3-გარჩევა სამაგალითო გაკვეთილისა და ლექციები მეტოდიკისა. მე 4 გაკვეთილი—გალობა. მხოლოდ პირველ გაკვეთილზე ესწრებოდნენ ყველა მაყურებლები; დანარჩენი გაკვეთილების დროს ათ ათი კაცი უნდა ყოფილიყო სკოლაში, სადაც 20 ივლისამდის სამაგალითო გაკვეთილებს აძლევდა მოწვეული სპეციალისტი მასწავლებელი, მორიგე მასწავლებლები-კი უყურებდნენ; ხოლო 21 ივლისიდან გაკვეთილებს აძლევდნენ თვით საეკკლესიო სკოლების მასწავლებლები მოწვეულის მასწავლებლის ხელმძღვანელობით. გარდა ამისა მასწავლებლები რიგ-რიგობით უნდა ყოფილიყვნენ ყდების გასაკეთებელ სახელოსნოში და მეაბრეშუმესთან.

დღის პირველ საათზე თავდებოდა მეოთხე გაკვეთილი და მაყურებლები სასადილოდ მიდიოდნენ, ხოლო ოთხ საათზედ ყველანი ისევე იკრიბებოდნენ და იწყებოდა საღამოს გაკვეთილები. 1 და 2 გაკვეთილი იყო მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობისა, მე-3 და 4 გალობისა. გალობის გაკვეთილები იყო აგრეთვე კვირა-უქმე დღეებსაც. 30 ივლისიდგან სანიმუშო გაკვეთილებს ყველა მაყურებლებისა და მეტოდიკის ლექტორის თანადასწრებით აძლევდნენ თვითონ საეკკლესიო სკოლების საუკეთესო მასწავლებლები.

12 და 13 აგვისტოს საეპარქიო საბჭოს წევრის ბ. ფანცხავას თანადასწრებით გამოსცადეს მასწავლებლები სლავიანურს და ქართულს გალობებში. გალობა მასწავლებლებს კარგად შეესწავლად. 14 აგვისტოს გადაიხადეს ჩვეულებრივ პარაკლისი და მაყურებლები წავიდნენ თავიანთ სახლებში.

კურსებმა ბევრი სარგებლობა მოუტანა მაყურებლებს; ბევრი რამ საჭირო

---

კარგად და მხიარულად დრო, როგორც ეხლა ამ მარტოობაში ვატარებთ.

— დიაღ, შენობას უკვე სიბერე დასტყობია.—მიუგე.—სახლის მარცხენა ნაწილში, ვგონებ, არავინა სცოვრობს. იქ უთუოდ ეშმაკები დაძრწიან.—სიცილით დაუმატე.

— მაგ გვარი ხმები ცრუ-მორწმუნოების წყალობით არის გავრცელებული,—სთქვა გოლბორმა, და ამიტომ მაგას არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ და ყურადღებას არ ვაქცევ.

პირველმა საღამომ მეტად მხიარულ საუბარსა და დროს გატარებაში ჩაიარა. მაგრამ რაღა პირველმა? შემდეგაც ასევე მიდიოდა დრო...

ხშირად დავსეირნობდით, ნავით ვცურაობდით, ან კიდევ ცხენებს დავაჯირითებდით... მარგარიტის თავის სიმღერით აღტაცებაში მოვყვანდი.

ჯერ ერთი თვე არც-კი გასულიყო, რომ მარგარიტა უკვე მიყვარდა; ამასთან დარწმუნებული ვიყავი, რომ იმასაც ვუყვარდი. ერთხელ საღამოთი, როდესაც მარტონი მთვარით ოდნავ განათებულ ფანჯარასთან ვიდექით, მე ველარ მოვითმინე და სიყვარული გამოუცხადე. მარგარიტა მეტად გულ-ახდილი ქალი იყო, ამიტომ უბრალოდ ხელი გამომიწოდა და გამიღიმა... სხვა პასუხი საჭირო არ იყო.

დიდ ხანს ვიდექით ფანჯარასთან და ვლაპარაკობდით მომავალზედ.... ჩვენს მომავალზედ .. ამ დროს უცბად ოთახის ერთს კუნჭულში რაღაც ჩრდილს თვალი მოვკარი, დავაკვირდი და დავინახე ლიზა, რომელიც ოთახიდგან კარებისაკენ მიეშურებოდა. სახეზედ სიკვდილის ფერი დასდებოდა, ხოლო თვალები ნაკვერჩხლებივით გავარვარებოდა. თუმცა ლიზა ასე აშკარად დავინახე, მაგრამ მაინც არ დავიჯერე, „თვალმა მომატყუა მეთქი“ გავიფიქრე და დავმშვიდდი. შემდეგ დავრწმუნდი, რომ თვალმა კი არ მომატყუა, არამედ ნამდვილი სურათი ვნახე, მაგრამ მაშინ გვიანღა იყო....

ამავე დროს თან და თან ახლოვდებოდა ის დღე, რომელმაც სამუდამოდ დაარღვია ჩემი მამავალი და ბედნიერება.

გოლბორნს თევზაობა ძალიან უყვარდა. ერთხელ, როდესაც მარტონი სტოლთან ვისხედით, მოხუცმა მოჰმართა და მთხოვა სათევზაოდ წავიდეთო.

— დღეს,—ამბობდა ის,—სამაგალითო ამინდი დაგვიდგა. თუ თანახმა ხართ, ეხლავე შეგვიძლიან გაუდგეთ გზას.

მე, რასაკვირველია, დავთანხმდი.

თევზაობამ კარგად ჩაიარა. შინ იმ დროს დავბრუნდით, როდესაც ყველას ეძინათ.

მეორე დილას სასადილო ოთახში შევედი იმ იმედით, რომ მარგარიტას შევხვდებოდი: მე და მარგარიტა ყოველ დილას სასეირნოთ დავდიოდით. მაგრამ ამ დილით ოთახი ცარიელი დამხვდა. ჩვეულებრივ ფანჯარასთან დავჯექი და მოუთმენლად კარებს მივაჰყურე თვალები. დიდხანს ვიჯექი, მაგრამ მარგარიტა მაინც არსადა სჩანდა.

— შენ მარგარიტას უცდი? ჩამძახა ვიღაცამ შიგ ყურში დაცინვის კილოთი. ფიქრში წასულმა უცბად თავი ზევით ავიღე და ლიზა დავინახე. აშფოთებული ლიზა ჩემს გვერდით იდგა; ქალს საშინელი ფერი დასდებოდა და თვალებიდგან ცეცხლის ნაპერწკლები სცვიოდა.

— ყური დამიგდე!—განაგრძო ლიზამ,—ეხლა როდესაც ჩემს მიზანს მივაღწიე და დანაშაულობა ჩავიდინე შემიძლიან გიამბო ისეთი რამ, რომელიც შენთვის ინტერესს მოკლებული არ არის..

ლიზა სრულიად გამოცვლილიყო. ეს ის ძველი ლიზა აღარ იყო, რომელსაც მე კარგა ხანია ვიცნობდი. მინდოდა ხმა ამომეღო, მაგრამ ლიზამ ნება არ მომცა.

— ბოლომდის მოისმინე ის რაც უნდა გიამბო და ჩემის გამარჯვების მოწმე იყავი...—განაგრძო ქალმა.—შემოგხედე თუ არა პირველად, მაშინვე შემიყვარდი. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენც შეგიყვარდებოდი, მაგრამ ჩვენ შუა მარგარიტა ჩადგა... ამის გამო შემძულდა ჩემი და. შემძულდა ისე როგორაც ჩემს სიცოცხლეში არავინ მძულებია. მაშინ, როდესაც ჩემი გული ათასად იწეწებოდა, თქვენ ერთმანეთს ეალერსებოდით და ესაყვარლებოდით. მეტის მოთმენა ვეღარ შევძელი... არ შემეძლო აუშფოთებლივ, აუღელვებლივ წარმომედგინა, რომ შენ მარგარიტასი უნდა ყოფილიყავ. ვიმეორებ—მარგარიტა შემძულდა, ისე შემძულდა, რომ თავიდგან უნდა მომეშორებინა.. დღემდის არავისთვის მითქვამს, რომ მარცხენა მხარეს, ძველ სახლში ერთი მივარდნილი ოთახი გამოვძებნე. ეს ოთახი ისე ხელოვნურად არის გამართული, რომ იმის კარების პოვნა თუ არ მცოდნოდეს სხვას არ შეუძლიან. თვით ოთახს ორპირი კარი აქვს, ასე რომ გარეთ ვერავითარ ხმაურობას ვერ გაიგონებთ... გადავწყვიტე დამემწყვდია მარგარიტა ამ ოთახში და გუშინ კიდეც მოვიყვანე სისრულეში ეს გარდაწყვეტილება. დიდის მეცადინეობის შემდეგ, როგორც იყო, შევიტყუე ოთახში და

დასასარგებლო შესძინა მათ, მაგრამ მაინც ცოტა რამ ნაკლულევანებაც ჰქონდა კურსებსა: 1) 200 გურია სამეგრელოის ეპარქიის მასწავლებლებიდან კურსებზედ მოწვეული იყო 100 კაცი (16 მათგანი არ გამოცხადებულა) უფრო სუსტები მასწავლებლობაში. უკეთესები-კი არ ყოფილან კურსებზე მოწვეულნი. მაყურებლების არა მცირე ნაწილს შეადგენდნენ: ორ-კლასიან სამრევლო სკოლაში კურს დამთავრებულები, სასულიერო სასწავლებლიდან გამოსულნი და თუმცა სასულიერო სასწავლებელ კურს დამთავრებულები, მაგრამ წერა-კითხვის სკოლების სუსტი მასწავლებლები, რომელნიც არ იყვნენ მომზადებულნი მეტოდიკის მეცნიერული ლექციებისათვის. მათთვის უფრო სასარგებლო იყო არა თეორია, არამედ პრაქტიკა — შედარებით უფრო ბევრი სამაგალითო და სანიმუშო გაკვეთილი, 2) გაკვეთილებს ყველა მოწვეული მაყურებლები უნდა დასწრებოდნენ. 3) კურსების მთავრობას შეეძლო გაემართა ყველა მაყურებელთათვის საზოგადო სასადილო, მით უმეტეს, რომ ამისათვის სამზარეულოს და სხვა საკმაო ოთახებს იშოვნიდნენ მონასტრის და სამღვდელო-მთავრო სახლებში ალექსანდრე ეპისკოპოზის ნებართვით. მაყურებლები ყოველ დღეს პირველ საათზე უნდა წასულიყვნენ სადილის საჭმელად, ზოგიერთი ორი ვერსტის მანძილზე, და გამაძღარნი მაშინათვე უნდა ასულიყვნენ მარტვილის მონასტრის მაღლობზე; 4) რვა გაკვეთილი ყოველ დღე (უქმე დღეებს კი ორ-ორი გაკვეთილი) ბინიდან მოსიარულე მაყურებელთათვის მეტად ბევრი იყო. მაყურებლებს ლექციების დროს ხშირად ეძინებოდათ, 6, ამისათვის მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა, თუმცა ფრიად სასარგებლო, მაგრამ არა სავალდებულო საგნები, უკეთესი იყო გადაედოთ შემდეგის დროისათვის.

ამ მცირე ნაკლულევანების გარდა კურსებმა კარგად ჩაიარეს. დიდი მადლობის ღირსია ბ ნი თ. ჟორდანია, რომელსაც ამ საქმისათვის არავითარი შრომა არ დაუზოგავს.

მაყურებელთაგანი

## დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ბახმარო.** წელს ბახმაროს იმდენი მეაგარაკენი ვერ მოაწყდა, რამდენიც მოსალოდნელი იყო. გასულ წელში ათასობით მოდიოდნენ აქ მეაგარაკენი, წელს-კი მათი რიცხვი სამას-ოთხასს არ აღემატებოდა. ამის მიზეზი უმთავრესად უგზოობაა. გარდა ამისა ხალხი დააფრთხო ივნისში მოსულმა თოვლმა, რომელმაც დიდი ზარალი მოუტანა როგორც სოფლელებს, ისე მეჯოგე მეგრელებს. სოფლელებს ნახევარი საქონელი გაუწყვიტა ამ თოვლმა. საზამთროდ მომზადებული ჩალა-თივა ამ ზაფხულში მოანდომეს საქონელს და ზამთრისათვის საკვებიც აღარ ექნებათ, თუ ვისმეს საქონელი შერჩა.

ბახმაროს გზის შესახებ არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. აქ აქამდის დიდი იმედი ჰქონდათ, ამ გზას გაგვიკეთებენო, მაგრამ ამ იმედის განხორციელებას ვერ ვეღირსეთ. პირველი იყო და მაზრის უფროსმა სოკოლსკიმ ერთ-ორ წელი წინდ მთელი მაზრის მუშები რაღაც გზის გაჭრას მოანდომა. უკანასკნელი ათი ათასი კაცის მუშაობამ ფუჭად ჩაიარა. ეს მუშები არსებულ გზისათვის რომ მოეხმარებინათ, მშვენივრად შეკეთდებოდა. 1894 წელს მაზრის უფროსმა აღმაშაიძემ შეაკეთებინა ეს გზა, მაგრამ მაინც ბევრი არაფერი გამოვიდა, რადგანაც ერთმა ორმა სამამასახლისომ რიგიანად შეკეთა წილ-ხვედრი გზა და სხვებმა-კი არა; ამ სახით უოველ წლობით აკეთებენ საწყალი სოფლელნი გზას, მაგრამ მაინც ასე გეგონებათ, აქ ერთი თოხიც არავის დაუკრავსო.

წარსულ წელს აქ მოვიდა ქუთაისის გუბერნიის, სახელმწიფო ქონებათა მმართველი, რომელსაც მეაგარაკეებმა სთხოვეს როგორც გზის გაყვანა, აგრეთვე სხვა შეღავათიც ტყის ან საბალახო სარგებლობის საქმეში, მაგრამ თხოვნამ უყურადღებოთ ჩაიარა. პირიქით წინად მეაგარაკეთ თითო-ოროლა საქონლის საბაყოს არ ახდევინებდნენ, წელს-კი ათ-ათ შაურს იხდევინებიან თითო სულ საქონელზე.

ბახმაროზე სავალი გზა ორის მხრით არის: ერთი კაკიჯვრით და მეორე ვანის ქედიდგან; დღეს მხოლოდ პირველ გზას ასწორებენ, მეორე კი მივიწყებულია. მაგრამ ამის მიუხედავად ამ უკანასკნელს შემდეგში პირველობა არ ასცდება. პირველი გზა, თუ გაკეთდა, მხოლოდ მეაგარაკეთათვის იქმნება, დაბალ ხალხს იგი არავითარ სარგებლობას არ მოუტანს. შორიც არის კანის ქედის გზა. მეორე-კი მეაგარაკეთა თვისაც კარგი და სასარგებლო იქნება და მუშა ხალხისათვისაც, რადგანაც ამ გზით შეიძლება გამოიტანოს აუარებელი ტყე, რომელიც უგზოობის გამო ლპება და იხრწნება.

ეხლა ახალმა მაზრის უფროსმა დაათვალიერა ეს გზა და შეკეთება აღკვეთქვა. იმედია, ბატონი ლაზარენკო, როგორც მხნე და დაუზარებელი კაცი, გააყვანს ბახმაროს გზას, რითაც დიდ სარგებლობას მოუტანს მთელ გურიას. ეხლა გავიგეთ, რომ პატივცემული თავადი მიხეილ ნაკაშიძე ჰფიქრობს ამ ტყიდგან ხის გასატანად გადაიყვანოს მდინარე ბახვის წყალი და შეუერთოს ნატანებს და წყლის საშუალებით გზიდოს ხე-ტყე. ჩვენის აზრით ამ საქმის სისრულეში მოყვანა მოუხერხებელია. მდინარე ბახვა, რომელზედაც ოცზედ მეტი წისქვილი მუშაობს, ისეთი პატარა ზოფხულობით, რომ მეწისქვილეებს არა ერთხელა და ორჯერ მოსვლიათ ჩხუბი წყლის სიცოტავესა გამო; ხოლო ამ მდინარეს კიდევ თუ რაიმე მიაკლდა მაშინ ხუთი-ქვსი საზოგადოება უწისქვილოდ და უწყლოდ დარჩება.

ყორანი

## უცხოეთი

**შეერთებული შტატები.** პრეზიდენტმა მაკ-კინლეიმ უკვე ორი კომისია დანიშნა კუბისა და პორტო-რიკოს ჩასაბარებლად. პირველი კომისია, რომელმაც კუბა უნდა ჩაიბაროს, შესდგება გენერლების ვედირასა, ბეტლერისა და ადმირალის სამპსონისაგან, ხოლო მეორე კომისია, რომელმაც პორტო-რიკო უნდა ჩაიბაროს, — გენერლების ბრუქსისა, გორდონისა და ადმირალის შლეისაგან. ამ დღეებში პირველი კომისია გაემგზავრება ჰავანისაკენ. თავისის მხრით ესპანიამაც დანიშნა ერთი კომისია პორტო-რიკოს გადასაცემად. ეს კომისია შესდგება გენერალების ორტეგა და დელაგილასაგან.

— გაზეთები იუწყებიან, რომ როგორც ფილიპეს კუნძულების, ისე კუბის მეამბოხეები ეჭვის თვალით უყურებენ ამერიკელებსაო. დამოკიდებულება მათ შორის დღითი დღე მწვავდებაო. ამის მიზეზი ის არის, რომ მეამბოხენი ესპანელებს მოსპენებას არ აძლევენ, ხოლო ამერიკელები ამას უშლიან. პონსში მეამბოხენი ესპანელების მიდაზიებს თავს დაესხნენ. საზოგადოდ მეამბოხეთ ესპანელები ძლიანა სძულთ. ასეევე მანილაშიაც. ამერიკის მოხელეთ ხუთი მეამბოხე დახვრიტეს იმის გამო, რომ მათ რამდენისამე ესპანელის საჩხოსახადებელი გაანადგურეს. ფილიპეს კუნძულების მეამბოხენი ემუქრებიან კიდეც ამერიკელებს, ნუ გაგვაჯავრებთ თორემ კუნძულიდგან სრულიად გაგრეკავთო.

—

**ესპანია.** გაზ „Temps“-ის მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება: „ის ამბავი, რომ კარლისტები ამბოხების მოხდენას აპირობენო, არ მართლდება, ამბობენ რომ კარლისტებს ამ ჟამად არც ჯარი ჰყავთ და არც საკმაო თოფი და სურსათი აქვთ მომზადებულიო. არაგონის და კატალონის მოხელენი კარლისტების უოველსავე მოქმედებას გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს. ბარსელონში დაპატიმრებულ იქმნა კარლისტთა საზოგადოების რამოდენიმე წევრი და გაუქმებულ იქმნა მათივე რამდენიმე კლუბი. მადრიდის ჟურნალ-გაზეთები იმ აზრისა არიან, რომ ფილიპეს კუნძულები არავის უნდა დაუთმოსო. ესპანიის მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იღონოს, რომ ეს კუნძულები ხელიდგან არ გაუშვასო. ამიტომ იმ კომისიაში, რომელმაც ფილიპეს კუნძულების საქმე უნდა გადაწყვიტოს, მოხერხებული და გამოცდილი კაცები უნდა დაინიშნოსო“.

—

**საფრანგეთი.** სორბონის (უმაღლესი სასწავლებელი პარიჟში) ოც-დახუთმეტმა პროფესორმა საერო განათლების მინისტრს მიჰმართა და სთხოვა ბარდოს უნივერსიტეტის სათეოლოგო ფაკულტეტის დეკანი, პოლ სტაპფერი სასჯელისაგან განათავისუფლესო. საერო განათლების მინისტრმა ამას წინად პოლ სტეპფერი ნახევარის წლით თანამდებობიდგან გადააყენა. მიზეზი-კი ამისა ის იყო, რომ სტეპფონმა უნივერსიტეტის [illegible] გვამის დასაფლავების დროს წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, სთქვა, რომ განსვენებული რექტორი დრეიფუსის მომხრე იყოო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

ლონდონში და იქიდგან ყველა განათლებულ ქვეყნებში ხმა გავრცელდა, რომ ახალი რობინზონ კრუზო გაჩნდა. ეს ხმები გამოიწვია ერთს ინგლისურს ჟურნალში დაბეჭდილმა ვიღაც ლუი დე-რუჟმონის თავგადასავლის ამბავმა. ეს ახალ რობინზონ კრუზოს ერთს კუნძულზე მარტოდ მარტო უცხოვრია მთელის ორის წლის განმავლობაში და შემდეგ 28 წელი გაუტარებია ავსტრალიის ჩრდილო-დასავლეთის ველურთა შორის. ეს ოც-და-ათი წელიწადი ისე გაუტარებია, რომ არც ერთი ევროპიული კაცი არ უნახავს.

რა თქმა უნდა, რომ ასეთის კაცის თავგადასავალის ამბავი მეტად საყურადღებო უნდა იყოს.

რუჟმონი დაიბადა 1844 წელს პარიჟში. 10 წლისა რომ იყო, დედამ შვეიცარიაში წაიყვანა და პატარა რუჟმონმა სწავლა-განათლება იქ მიიღო. 19 წლისა რომ გახდა, აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრა. ამ დროს თანა ჰქონდა ჩვიდი ათასი ფრანკი. სინგაპურში რუჟმონმა გაიცნო ჰოლანდიის კაპიტანი იენსენი, რომელსაც თავისი საკუთარი გემი ჰქონდა და ახალ გვინეის ნაპირებისაკენ მიეშურებოდა მარგალიტის საძებნელად. იენსენს მარტო ფული აბრკოლებდა და რუჟმონმა თავისი ფული შესთავაზა იმ პირობით, რომ მოგება შუაზედ გაეყოთ. იენსენი დასთანხმდა. გემზედ იენსენს 44 კაცი მოსამსახურე ჰყავდა და ერთი ძაღლი.

გავიდა ერთი თვე, ვიდრე იენსენი მარგალიტის საძებნელად შესაფერს ადგილს იპოვნიდა. ბოლოს, როგორც იქნა, ამ გვარ ადგილს მიაგნო და დაიწყეს ძებნა მარგალიტებისა. რუჟმონი სადაფებს რიგზე აწყობდა და მერე დანით აპობდა. ერთის თვის განმავლობაში იენსენმა და რუჟმონმა იპოვნეს 500,000 მანათის მარგალიტი. წამოსვლის დრო დადგა; მაგრამ რუჟმონმა ერთხელ იპოვნა სამი მშვენიერი და ძვირფასი შავი მარგალიტი. იენსენს გულში სიხარბე შეეპარა და თუმცა წასვლის დრო დიდი ხანია იყო, მაგრამ აღარ წავიდა და დარჩა აქ იმ აზრით, რომ კიდევ ბევრს ვიპოვნი შავს მარგალიტსაო.

1864 წლის ივლისში ღელვამ დაჰღუპა მთელი გემი და სიკვდილს გადურჩა მხოლოდ ერთი რუჟმონი. რუჟმონი, როგორც იყო, გავიდა ნაპირზედ და გადიტანა ზოგიერთი ნივთები. თურმე ბედმა რუჟმონი ერთს კუნძულზედ მიაგდო, სადაც ადამიანის ხსენებაც არა ყოფილა. აქ, რობინზონ კრუზოსავით მარტოდ-მარტომ მთელი ორი წე-

---

მაშინ, როდესაც მარგარიტა გაკვირვებული და განცვიფრებული ოთახს ათვალიერებდა, მე გამოვარდი გარედ და კარები გადაუკეტე... მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭნია. ჩემი და გონებიდგან არა მშორდებოდა; მაგრამ არ იფიქრო, რომ სინანულს მივცემოდი... არა.. განა იმან ბედნიერება და სიხარული არ წამართვა?..

გაგონილმა ისე ძლიერ იმოქმედა ჩემზედ, რომ გონება სრულიად დამეკარგა. ვეღარც-კი გამეგო კარგად რას მეუბნებოდა ლიზა და რას არა.

— რას გაჩუმებულხარ? ვერ გაიგე რაც გიამბე? მომმართა ლიზამ ცოტაოდენის სიჩუმის შემდეგ.

— იქნებ შენ ტყუილი გგონია ყველა ეს? წამოდი შენის თვალითა ნახე და დარწმუნდი, რომ სიმართლეს გეუბნები.

თითქოს ღრმა ძილისაგან ახლად გამოღვიძებული, ბარბაცით გავყევი ქალს სამხრეთისაკენ. როდესაც სახლს მიუახლოვდით, ლიზამ დაჟანგებული კლიტე გაალო და ოთახში შევედით. ეს პირველი ოთახი იყო. ამისთანა ოთახი ოთხი თუ ხუთი კიდევ სხვა გავიარეთ და ბოლოს საიდუმლო ოთახის კარებს მივადექით. თვალის დახამხამების უმალ ქალმა აქაც კარები გააღო და პირველი შევარდა ოთახში...

აქ-კი გამოვფხიზლდი, გულმა კანკალი დამიწყო... ძნელია იმის აღწერა რასაც მე ამ ბნელ ოთახში შესვლის დროსა ვგრძნობდი...

მარგარიტა ცივს იატაკზედ იდო... ჩემი მარგარიტა... უძრავი, გაციებული იყო... გრძელი, ოქროს ფერი თმა გულზედ დაჰყრიდა.

მე არა მჯეროდა, რომ ჩემი მარგარიტა სიცოცხლეს გამოსალმებოდა... აღელვებული მივვარდი, მინდოდა გარეთ სინათლეზედ და კარგ ჰაერზედ გამომეტანა, მაგრამ ვეღარ შევძელ, გული შემიღონდა და უგრძნობელი დავეცი იმ იატაკზედ, სადაც მარგარიტა სიცოცხლეს გამოესალმა.

როდესაც გონს მოვედი, ჩემს ოთახში ტახტზედ ვიწექი და გოლბორნის ოჯახის ექიმი თავს მედგა.

— მოხარული ვარ, ძვირფასო მეგობარო, რომ უკეთა გხედავთ, — მომმართა ამ სიტყვებით ექიმმა. — იმედი მაქვს, რომ ამ ორ-სამ კვირაში ფეხზედაც წამოდგებით.

მაგრამ მე მკურნალის სიტყვებს ყურს აღარ ვუგდებდი. მომაგონდა ის შავ-ბნელი ამბავი, რომელმაც ასე უდროოდ უკეთესი დღეები წამართვა და ჩემი გული ნაღველით აივსო.

— დიდი ხანია რაც ავადა ვარ? ვკითხე მკურნალს.

— რამდენიმე კვირა იქმნება. — მომიგო.

— მითხარით, ღვთის გულისათვის მითხარით, სად არის ეხლა მარგარიტა?

მკურნალს ხმა ძალზედ უკანკალებდა, როდესაც მიუგო:

— ყველაფერი ღვთის ნებაა, ჩემო მეგობარო. ამ სიტყვებმა თავზარი დამცეს, მაგრამ როგორც იყო ძალა მოვიკრიბე და ვკითხე:

— ის... ის... გოლბორნი როგორღაა... ა... სიტყვა ვეღარ დავათავე.

— გოლბორნიც გარდაიცვალა, ხოლო ლი.. .. ლიზა.. ავად არის. სულით ავადმყოფთა სახლში მოვათავსეთ. წვალებით წარმოსთქვა მკურნალმა.

— როგორ, ჭკვაზედ შეიშალა? — გიჟივით შევყვირე.

— უთუოდ თქვენ გოლბორნის ოჯახის წარსული არ იცით, რომ აგრე გაკვირვებული მეკითხებით. მოხუცს გოლბორნს არც უყვარდა ამის შესახებ ლაპარაკი. ახალგაზდობაში ის ბევრს მოგზაურობდა. ერთს დროს იტალიაშიაც სცხოვრობდა. იქ გაიცნო ერთი ახალგაზდა, ლამაზი ქალი, რომელიც შემდეგ ცოლად შეირთო. რამდენისამე ხნის შემდეგ ახალგაზდა გოლბორნი ცოლით და პატარა ქალით სამშობლოში დაბრუნდა. მაგრამ მალე ცოლი ჭკუიდგან შეეშალა და წუთისოფელს გამოესალმა. გავიდა რამდენიმე წელიწადი. გოლბორნმა მეორე ცოლი შეირთო... ის კიდევ მეტად სუსტი აგებულების ქალი გამოდგა. ვერც იმან იცოცხლა დიდ ხანს, მხოლოდ ერთი ქალი იმანაც დაუტოვა. სიცოცხლე-გამწარებული, გულ-გატეხილი გოლბორნი ქალიშვილებით აქ გადმოსახლდა, იმ იმედით, რომ მარტოობაში მაინც ნუგეშსა ვპოვებო. კარგა ხანია, რაც მამამ შეატყო უფროს ქალს, რომ დედისაგან სულით ავადმყოფობა დაჰყვა, მაგრამ ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა თუ ასეთი შედეგი მოჰყვებოდა. იმ დღეს, როდესაც სამწუხარო ამბავი მოხდა გოლბორნს საშინელი ყვირილი შემოესმა მარცხენა მხრიდგან... გოლბორნი გაქანებულა იქითკენ, შევარდნილა კარებ გაღებულ ოთახში და საზარელი სურათი დაუნახავს. თქვენ უგრძნობლად მარგარიტას გვამთან ერთად იატაკზედ ეგდეთ, ხოლო ლიზა თქვენ წინ მუხლებზედ იდგა და ძალზედ ჰყვიროდა. იმის უაზრო სიტყვებიდგან გოლბორნმა ყველაფერი გაიგო.... საწყალმა მოხუცმა ვეღარ აიტანა ამდენი ვარამი და იმავე დღეს წუთი სოფელს გამოესალმა. იმისი უკანასკნელი სიტყვა „მარგარიტა“ იყო...

ი. ა—ძე

ლიწადი გაატარა. ორის წლის შემდეგ კუნძულის ნაპირთან გამოჩნდა ნავი და რუმანის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ჯერ-ჯერობით ამაზე თავდება რუჟმანის თავ-გადასავალის ამბავი და როდესაც დაიბეჭდება შემდეგი, ჩვენც ვეცდებით ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს.

## სასამართლოს მატიანე

18 ამ თთვეს, ტფილისის სასამართლო პალატაში გარჩეულ იყო საქმე მარინე შაფათავასი, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს უჩიოდა, რომ ბანკმა უსამართლოდ გაყიდა ჩემი ფოთის მამულიო. მოვაგონებთ მკითხველებს ამ საქმის გარემოებას.

28 დეკემბერს 1896 წ. ბანკმა სხვა მამულებ შორის გაყიდა საჯარო ვაჭრობით, ხვედრი გარდასახადის შემოუტანლობისა გამო, ფოთის მამულიც ხსენებულ შაფათავასი. ამ უკანასკნელმა ეს გასყიდვა უსამართლოდ სცნა და ოლქის სასამართლოში საჩივარი შეიტანა, სადაც ამტკიცებდა, რომ ბანკისა არამც თუ არაფერი მემართაო, პირიქით ყოველი გარდასახადი სრულებით შევსებული მქონდა და ბანკზე კიდევ ჩემი ფული იყო დარჩენილიო. ოლქის სასამართლომ სამართლიანად სცნა შაფათავას საჩივარი, ბანკის მოქმედება უსაფუძვლოდ აღიარა და გადასწყვიტა: საჯარო ვაჭრობა შაფათავას მამულის შესახებ გაუქმებულ იქმნას და შაფათავას ნება მიეცეს ბანკისაგან ზარალი იძიოს. ბანკი ამ გარდაწყვეტილებას არ დასთანხმდა და საქმე სასამართლოს პალატაში გადიტანა. პალატამ, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ეს საქმე გაარჩია 18 ამ თთვეს. პალატამ მოისმინა რა საქმის გარემოება, შაფათავას საჩივარი უსაფუძვლოდ სცნა და დაადგინა: გაუქმებულ იქმნას ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება ამ საქმის შესახებ და ამასთანავე შაფათავას მიუსაჯა საქმის საწარმოებელი ხარჯის გადახდა ბანკის სასარგებლოდ.

ამ სახით, „ტფილისის ლისტოკის“ განგაში და სიხარული იმის შესახებ, რომ ქვეყანას დაუმტკიცოს, ჩვენის ბანკის უსამართლო და გულქვავი საქციელი „ქვრივ-ობლების“ შესახებ, უსაფუძვლო და უსამართლო გამოდგა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**მოსკოვი.** 17 აგვისტო. დღეს, ნაშუადღევს მეოთხე საათზე, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა, პროფესორებისა და ხუროთ მოძღვართა კომიტეტის თანდასწრებით აკურთხეს საძირკველი ხელოვნებათა მუზეისა, რომელიც იმპერატორის ალექსანდრე მესამის სახელობაზედ უნდა იქმნეს დაარსებული. მათს უდიდებულესობას დაუხვდნენ კომიტეტის წევრნი და მთავარ-გოფმეისტერი ნეჩაევი-მალცევიჩი. მოსკოვის მიტროპოლიტმა გარდაიხადა პარაკლისი და აკურთხა საძირკველი. მათმა უდიდებულესობამ და მათმა უმაღლესობამ საძირკველში ჩაჰყარეს ახლად მოჭრილი ფული. ხელმწიფე იმპერატორმა, ხელმწიფე იმპერატრიცამ და საბერძნეთის დედოფალმა ჩაჰყარეს სამი ქვა და გაამაგრეს კვერის სამჯერ დაკვრით. მათი უდიდებულესობა დაესწრნენ შენობის ადგილას დიდის ხის ჯვარის ამართვას. ხელმწიფემ კეთილ-ინება და ალერსიანის სიტყვებით მიჰმართა კომიტეტის წევრთ და ხუროთ-მოძღვარს კლეინს. მეხუთე საათზე მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ. სადამოთი დიდ მთავარ სერგეი ალექსანრეს ძესთან მოხდება კრება მათის უდიდებულესობათა თანადასწრებით.

17 აგვისტო

**მოსკოვი.** 16 აგვისტოს ეგრედ წოდებულ გიორგის დარბაზში სადღესასწაულო სადილი გაიმართა, რომელზედაც მიწვეულ იყვნენ: უმაღლესი სამღვდელოება, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, მინისტრნი, სენატორები, საპატიო ოპეკუნები, სტატს-სეკრეტრები, ყველა ისინი, ვისაც აქვს ვონზელი იმპერატორის ალექსანდრე მეორისა, სასახლის კარის კაცნი, იმპერატორის ალექსანდრე მეორის ამალის წევრნი, სამოსამართლო უწყების წარმომადგენელნი, მოსკოვის ადმინისტრაციის უფროსნი, სამხედრო წოდების მოხელენი, გიორგის ჯვრის კავალერნი, სათავად-აზნაურო საგუბერნიო წინამძღოლნი, მოსკოვის გუბერნიის მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, საგუბერნიო სამაზრო ერობათა წარმომადგენელნი, სატახტო და საგუბერნიო ქალაქების მოურავები, ფინლონდიის სამთავროს დეპუტატნი და მრავალნი სხვანი. სადილს ათასს კაცზე მეტი დაესწრო. შუაგულ ადგილას ისხდნენ მათნი უდიდებულესობანი; ხელმწიფე იმპერატორის მარჯვნივ ისხდნენ: საბერძნეთის დედოფალი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და საბერძნეთის ბატონიშვილი სოფიო: ხელმწიფე იმპერატრიცას მარცხნივ მხარეს ისხდნენ: საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე, დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული, დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული; მათის იმპერატორობითის უდიდებულესობის პირდაპირ—სასახლის მინისტრი, მინისტრის მარჯვენა მხარეს ავსტრი უნგრეთის ელჩი და გენერალი ფონ-ვერდერი, მარცხნივ—მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ვლადიმერი; სამხედრო მოხელეთათვის გაშლილი იყო სუფრა ბოიარსკის მოედანზე. სადილის დროს უკრავდა მუსიკა და გალობდნენ რუსეთის საიმპერატორო ოპერის არტისტები.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ამა გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია საჯაროდ იჯარის გაცემა იმისი, თუ ვინ იკისრებს ცხენების საკვების მომზადებას, სახელდობრ: 95 ათასი. ფუთ ქერისა, 65 ათასი ფუთ. თივისა და 40 ათასი ფუთ. ბზისა. მსურველთ შეუძლიანთ პირობანი განიხილონ გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (3—6—2)

ქალაქის სულით-ავადმყოფთა სახლის შესაფარისათვის

## საჭიროა სადგომი.

სადგომი ქალაქის განაპირას უნდა იყოს და შესდგებოდეს 15—20 ოთახისაგან დიდის ეზოთი და თუ შეიძლება ბაღითაც. განცხადება ტფილისის ქალაქის გამგეობას უნდა გაუგზავნონ. (3—6.—1)

## ბაღლინჯოებისა და ამანოს ჭიების მომსპობი სითხე კელერისა.

ისყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან. იმ ადგილებს, სადაც ეს მწერი ჰბუდობს, წაუსვამთ თუ არა სითხეს ჩხირით, ან შეუშხაპუნებთ, მაშინვე დაჰხოცავს და ისეთ ნაირად გაანადგურებს ბუდეს და კვერცხებს, რომ დიდს ხანს ველარ მოიკიდებს იქ ფეხს ეს მწერი.

სითხე არ არის შეღებილი და არავითარს ლაქას არა სტოვებს ავეჯეულობასა და შპალიერზედ. მწერს, მაგალითად, ამანოს ჭიას, მოჰხვდება თუ არა წვეთი ამ სითხისა, მაშინვე გადაბრუნდება და ჰკვდება.

ფასი მეტად იაფია და ხელ-მისაწვდენი ყოველ მეოჯახისათვის.
(отъ клоповъ и таракановъ) (3—მ.—2)

მიიღება ხელის მოწერა რუსულ-ქართულ

## ენციკლოპედიურ ლექსიკონზედ

ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო საგნები, რჯულნი, მოძღვრებანი და სხვა. მარტო პირველს წიგნში, ასო **ანზე**, განმარტებული და აწერილია ორი ათასზე მეტი სიტყვა და საგანი. მათში განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ცნობებზე ჩვენის ქვეყნის შესახებ, რომლებიც აწერილია უფრო მეტის სავსებით. მთელი ლექსიკონი გამოვა 15 წიგნად, თითო 160—200 გვერდად, სამს თვეში თითო, და ეღირება ხელის მომწერთათვის მაგრტო **12 მანეთი**, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთობითაც შემოიტანოს. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდათ; ასეთს სტატიებს მოვუწერთ მათის ავტორების სახელ-გვარს. მეორე წიგნი ასო **ბანზე** უკვე იბეჭდება და გამოვა ენკენისთვეში.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (10—104—9)

# ა ნ გ ა რ ი შ ი

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 აგვისტოსათვის 1898 წლისა.

### ა ქ ტ ი ვ ი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | | 11385 | 28 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | | 4091 | 30 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | | 36194 | 78 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | | 2317 | 25 |
| V. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | | 185314 | — |
| VI. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. | 1945—46 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. | 8699—20 | | |
| გ) საქონელზედ | 8469—— | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. | 3692—73 | 22806 | 39 |
| VII. დასაბრუნებელი ხარჯი | | 180 | 47 |
| VIII. მოწყობა-მომართვა | | 887 | 12 |
| IX. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | | 9 | 43 |
| X. სხვა-და-სხვა დებიტორები | | 361 | 56 |
| XI. მიმდინარე ხარჯი | | 6096 | 40 |
| XII. პროტესტში წასული თამასუქები | | 430 | — |
| XIII. განაღდ. სავადო ქაღალდებისა კუპონებისა და სხ. | | 2052 | 25 |
| ს უ ლ | | 272126 | 23 |

### პ ა ს ს ი ვ ი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 636 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | | 69421 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს) | | 2403 | 19 |
| III. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით | 95020—69 | | |
| ბ) ვადით | 86250—— | | |
| გ) უვადოდ | 700—— | 181970 | 69 |
| IV. გარდასაცემი თანხა | | 1408 | 96 |
| V. გარდასახდელი სარგებელი | | 1113 | 51 |
| VI. გადაგირავება თამასუქებისა | | 6850 | — |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | — | 68 |
| VIII. მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა | | 8447 | 51 |
| IX. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად | | 500 | — |
| X. სათადარიგო თანხ. სარგებლიან ქაღ. სარგებილი | | 10 | 69 |
| ს უ ლ | | 272126 | 23 |

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პასუხის-მგებლობა 636 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 624789 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 4900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ | 950 | — |

(1—6.—1)